ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკონკურსო კომისიის

განცხადება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს შიდა კონკურსს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 ვაკანსია;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 ვაკანსია;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 3 ვაკანსია;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 ვაკანსია

განცხადებები მიიღება 2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით.

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით. "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ამ საჯარო დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს;

შიდა კონკურსის ეტაპებია:

• განცხადების გადარჩევა

• გასაუბრება

შიდა კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას გასაუბრების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მოხელის შეფასების შედეგები;

კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/ არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.